1971/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (369)

1971 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 10 (369) ოქტომბერი 1971 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვენერიულ სნეულებათა გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

172. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორჯომის, ვანისა და ბოლნისის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის განხორციელების თაობაზე საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში.

11672

განყოფილება მეორე

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციების და სტამბის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებათა მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. არტაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. დ. გ. ბენაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ბ. ჯ. ბრეგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. შამათავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. ლ. ვ. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ვ. ძიძიგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. ართმელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთების „საბჭოთა აჭარის“ და „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქციებისა და სტამბის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ფ. შარიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

170 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 22-ე და 36-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებანი:

1. 43-ე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 43. დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში.

დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუცხადებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და გასაცნობად წარუდგენენ საქმის მთელ წარმოებას. პროკურორის დადგენილებით დამცველი შეიძლება დაშვებულ იქნეს საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წაყენების მომენტიდან.

იმ საქმეებზე, რომლებზეც წინასწარი გამოძიება არ ჩატარებულა, დამცველი დაიშვება ბრალდებულის სამართალში მიცემის მომენტიდან.

დამცველად დაიშვებიან ადვოკატები, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასამართლოს განჩინებით ან მოსამართლის დადგენილებით დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნენ სამართალში მიცემულის ახლო ნათესავები და კანონიერი წარმომადგენლები, აგრეთვე სხვა პირები“.

2. 44-ე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. დამცველის სავალდებულო მონაწილეობა საქმეში წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს.

დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა შემდეგ საქმეებზე:

არასრულწლოვანთა საქმეებზე;

მუნჯი, ყრუ, უსინათლო და სხვა ისეთი პირების საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განახორციელონ თავის დაცვის უფლება;

იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც არ ფლობენ ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება;

ამ შემთხვევებში დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცველის მონაწილეობა იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალად დებ-ბათ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, სავალდებულოა იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუცხადებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და გასაცნობად წარუდგენენ საქმის მთელ წარმოებას.

სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომელშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალმდებელი, აგრეთვე წინააღმდეგობის არსებობისას სამართალში მიცემულთა ინტერესებს შორის, — თუ ერთ მათგანს მაინც ჰყავს დამცველი.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თვით ბრალდებულს, სამართალში მიცემულს ან მათი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო ან შესაბამისად გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში".

3. 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანის ან იმ პირის მიერ, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძს განახორციელოს თავის დაცვის უფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც არ ფლობს ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სამართალწარმოება ან რომელსაც ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, — დამცველზე უარის თქმა სასამართლოსათვის ან შესაბამისად გამომძიებლისა და პროკურორისათვის სავალდებულო არ არის".

4. 222-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა დანაშაულისა და იმ დანაშაულის საქმეებზე, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას ან აუცილებელია ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა, ტარდება სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

171 ვენერიულ სნეულებათა გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

„ვენერიულ სნეულებათა გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 122. ვენერიული სენის შეყრა ან ვენერიული სენის მკურნალობასათვის თავის არიდება.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისაგან მიღებული გაფრთხილების შემდეგ ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

წინასწარი შეცნობით ვენერიული სენის შეყრის საფრთხეში სხვა პირის ჩაყენება სქესობრივი კავშირით თუ სხვაგვარი ქმედობით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ვენერიული სნის შეყრა სხვა პირისათვის, იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრის გამო, აგრეთვე ორი ან მეტი პირისათვის ან არასრულწლოვანისათვის ვენერიული სენის შეყრა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

172 ბორჯომის, ვანისა და ბოლნისის რაიონებში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის განხორციელების თაობაზე საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ბორჯომის, ვანისა და ბოლნისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხ. მხ. ს. კიკნაძის, ო. გიორგაძის და მ. ალიევის მოხსენებანი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის განხორციელების თაობაზე საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, აღნიშნავს, რომ ამ რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან კანონის განხორციელებისათვის, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

უკანასკნელ წლებში აღნიშნული რაიონების ტერიტორიაზე აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა დარგის მრავალი ობიექტი.

ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში აიგო საცხოვრებელი სახლები, სოფლებში აკაურთაში, ძველ ქვეშსა და ტანძიაში — ახალი მაღაზიები, ხოლო ქვემო ბოლნისში, არახლოში, ქვემო ქოშაქილისში — საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

დაბა ვანში 1970 წელს აშენდა 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ამჟამად მთავრდება 18-ბინიანი სახლის მშენებლობა; აიგო აგრეთვე მექანიზებული პურის საცხობი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 9 ობიექტი.

ბორჯომის რაიონის ტაძრისის სასოფლო საბჭოში აშენებულია სამრეწველო საქონლის მაღაზია, დაბა წაღვერში, ახალდაბასა და სოფელ ტბაში — საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, დაბა ბაკურიანში შენდება კომბინატი.

ბორჯომის, ბოლნისის და ვანის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად იხილავენ კომუნალური საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის საკითხს, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობას და სახავენ სათანადო ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ამასთან ზემოაღნიშნულ რაიონებში სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის განხორციელებას საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნისის რაიონის აკაურთის, ბორჯომის რაიონის გვერდისუბნის და ტაბაწყურის, ვანის რაიონის გადიდის და კიროვის სასოფლო საბჭოებში არ არის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი.

ბოლნისის რაიონის აკაურთის სასოფლო საბჭოს სოფელ არაქელში არა აქვთ სამრეწველო და სასურსათო მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ობიექტი, ხოლო ბექთაკარის, მუსოფრიანის, ქვემო გულავერის, აგრეთვე ბორჯომის რაიონის ტაბაწყურის, მიტარბის, ქვაბისხევის და ჭობიხევის სოფლის მაღაზიები მოთავსებულია დაქირავებულ, შეუფერებელ ბინებში. ზოგიერთი საკვაჭრო ობიექტი სისტემატურად არ მარაგდება პირველი მოთხოვნილების საქონლით (ასანთი, შაქარი, ქვამარილი). ნაკლოვანებებია გამომცხვარი პურით ვაჭრობისა და პურის ფქვილით მომარაგების საქმეში. რიგ მაღაზიებს არააქვთ სათავსები, მაცივრები მალფუჭადი საქონლის შესანახად.

მაღაზიებში ნაკლებადაა საოჯახო ჭურჭელი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ბოლნისის და ვანის რაიონების ზოგიერთი სოფლის საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ანტისანიტარული მდგომარეობაა; ადგილი აქვს შრომის დისციპლინისა და ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტებს, დაბალია მომხმარებელთა მომსახურების კულტურა.

ვანის რაიონის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ვერ ასრულებენ გეგმებს. (რაიკავშირის ხაზით 9 თვის გეგმა შესრულდა 96,9 პროცენტით, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით მხოლოდ 70 პროცენტით).

შემოწმებული რაიონების სადაბო საბჭოებში, სადაც სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარების საცხოვრებელი სახლები შენდება, დაცული არ არის სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ კანონის მოთხოვნა ბინების განაწილებისას ადმინისტრაციისა და პროფორგანიზაციის ერთობლივ დადგენილებათა აღმასკომების მიერ დამტკიცების შესახებ.

ასევე არ იცავენ წესს სოფლის მასწავლებელთა და სამედიცინო დარგის მუშაკთა უფასო კომუნალური მომსახურების შესახებ.

ვანის რაიონის სოფლებში დაბალია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. თუ რაიონის ცენტრში ერთ სულ მოსახლეზე მომსახურება შეადგენს 24 მანეთსა და 50 კაპიკს, სოფლად იგი მხოლოდ 1 მანეთი და 13 კაპიკია.

აღნიშნული რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ხაზით იმის შედეგია, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ სასოფლო და სადაბო საბჭოებს, იშვიათად სწავლობენ სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონის შესრულების მიმდინარეობას ადგილებზე. ასე მაგალითად, ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომს მიმდინარე წლის 9 თვეში არც ერთხელ არ განუხილავს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრო საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

სუსტად მუშაობენ ბოლნისის რაიონის სასოფლო, სადაბო საბჭოების სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიები, ხოლო ასეთივე კომისიები ვანის რაიონის არც ერთ სასოფლო და სადაბო საბჭოში არ არის შექმნილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ბორჯომის, ბოლნისის და ვანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ გადაჭრელი ზომები სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ კანონის განუხრელად დაცვისათვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, ამ მიზნით:

ა) საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოებს მათ დაქვემდებარებაში არსებული საცხოვრებელი სახლების, კომუნალური საწარმოეთა, ადმინისტრაციული და სხვა შენობების ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის საქმეში;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები სწორად იყენებდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებას საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის განაწილებისა და მის ტერიტორიაზე მდებარე სხვა უწყებათა დაქვემდებარების სახლების საცხოვრებელი ფართობების გაცემაში მონაწილეობის შესახებ;

გ) სათანადო კონტროლი და დახმარება გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოებს დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საქმეში, მათ ტერიტორიაზე სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების სწორად განლაგებაში. მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი დასახლებული პუნქტი არ დარჩეს ამ ობიექტების გარეშე;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ სასოფლო, სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის წესების დაცვას, მომსახურების კულტურის ამაღლებას და ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვას, მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საქონლით უწყვეტ-ყოფას;

ე) მიიღონ ზომები სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უკეთ წარმართონ კადრებთან მუშაობის საქმე;

ვ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული საბინაო-კომუნალური, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობისადმი, პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ მათი საქმიანობა, საკითხების შესწავლა-განხილვაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობას და კაზრეთის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექციას საჭირო დახმარება გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს მათ ტერიტორიაზე განლაგებული საბინაო-კომუნალური, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებაში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ზუსტად განახორციელონ საბინაო-კომუნალური, მეურნეობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში სასოფლო, სადაბო საბჭოს კანონი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 ოქტომბერი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

173 გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქციების და სტამბის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების ძიხიჭების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „სოვეტსკაია აჯარიას“ დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის** საპატიო წოდება:

მარია არსენის ასულ **არუთინოვას** — გაზეთების „საბჭოთა აჭარის“ და „სოვეტსკაია აჯარიას“ გამომცემლობის გამგეს.

ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ **ბოგომოლოვას** — გაზეთ „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

რევაზ გიორგის ძე **გორგაძეს** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

ია პავლეს ასულ **ეგოროვას** — გაზეთ „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

ალი ჯემალის ძე **კონცელიძეს** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

კირილე ლევანის ძე **მაჭარაძეს** — ბათუმის № 9 სტამბის ასოთამწყობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეონილა ნიკოლოზის ასულ **პარშინას** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის უფროს ლიტმუშაკს.

ივანე იოსების ძე **პასკოს** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქტორის მოადგილეს.

სევერიანე ბესარიონის ძე **ტულუშს** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის ლიტმუშაკს.

საზონ ივანეს ძე **ცეცხლაძეს** — პენსიონერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 22 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებათა მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო და ბანკის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო** წოდება:

1. თამარ კონსტანტინეს ასულ **გვანცელაძეს** — სახბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველს.

2. გრიგოლ პარძენის ძე **დიდიას** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსს.

3. ანა არაქელის ასულ **იზრაელიანს** — სახბანკის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის განყოფილების მმართველის მოადგილეს.

4. აუშა კონსტანტინეს ასულ **ყურულოვას** — სახბანკის თერჯოლის განყოფილების მმართველს.

5. თამარ დავითის ასულ **მახათაძეს** — სახბანკის ზესტაფონის განყოფილების მმართველს.

6. ალექსანდრე ვართანის ძე **მურადოვს** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მთავარი რევიზორის მოადგილეს.

7. ლილი მკრტიჩის ასულ **ნაზარიანს** — სახბანკის ქ. თბილისის ლენინის რაიონის განყოფილების საგეგმო-საკრედიტო განყოფილების გამგეს.

8. აგრაფინა გიორგის ასულ **ნასუაშვილს** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მთავარ ბუღალტერს.

9. შიო ლავრენტის ძე **სულამანიძეს** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მთავარ ბუღალტერს.

10. რომანოზ სიმონის ძე **ხოფერიას** — საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ქსენია გიორგის ასულ **ჭუჭულაშვილს** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროს რევიზორს.

12. აზარ მათეს ძე **შტეინბერგს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 29 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 ამხ. ა. ა. არტაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ამხ. ალექსანდრე არტემის ძე **არტაზოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 11 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 პროფ. დ. ბ. ბენაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი დიმიტრი გიორგის ძე **ბენაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 11 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 პროფესორ გ. ვ. ბრეგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი გრიგოლ ვასილის ძე **ბრეგაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 11 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 ამხ. პ. ი. შამათავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რადიომაუწყებლობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პეტრე იულონის ძე **შამათავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 11 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 პროფ. ლ. ვ. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ლევან ვლადიმერის ძე **ჩხაიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 11 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. ვ. ძიძიგურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე შოთა ვარლამის ძე **ძიძიგური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 11 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

181 ამხ. ი. დ. ართმელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ამხ. ილია დავითის ძე **ართმელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 22 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 გაზეთების „საბჭოთა აჭარის“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციებისა და სტამბის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთების „საბჭოთა აჭარის“ და „სოვეტსკაია ადჟარიას“ დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინ სიმონის ძე **ბარსეგიანი** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.

ამირან ვარლამის ძე **ვადაჭკორია** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორის მოადგილე.

ევგენია ვალერიანის ასული **ვინოგრადოვა** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

რევაზ მიხეილის ძე იმნაძე — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის განყოფილების გამგე.

დურსუნ მემედის ძე **კობალაძე** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ტატიანა ბორისის ასული **ლოსოვსკაია** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის განყოფილების გამგე.

გიორგი მიხეილის ძე **ლორთქიფანიძე** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.

სერგო პოლოსის ძე **პეტროსიანი** — გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქციის გამომშვები.

ალექსანდრე დავითის ძე **სამსონია** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პასუხისმგებელი მდივანი.

გრიგოლ ალექსანდრეს ძე **სიხარულიძე** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის უფროსი ლიტმუშაკი.

ქეთო გიორგის ასული **ტაბატაძე** — ბათუმის № 9 სტამბის ლინოტიპისტი.

ჯიმშერ ომერის ძე **შამილაძე** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 22 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო და ბანკის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

1. მიხეილ ვლადიმერის ძე **აბესაძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს განყოფილების უფროსი ინკასატორი.

2. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ბაგრატიონი** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რომეო გრიგოლის ძე **გიორგაძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსი.

4. ნინო არსენის ასული **გოგიტიძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს სალაროს გამგე.

5. ალექსანდრე ელიზბარის ძე **ჯალაგონია** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

6. კონსტანტინე მიხეილის ძე **დევიძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი.

7. რაფიელ ივანეს ძე **კაჭარავა** — სახბანკის ქ. თბილისის კალინინის რაიონის განყოფილების მმართველი.

8. ალექსანდრე ისაკის ძე **ფხოველიშვილი** — სახბანკის ბორჯომის განყოფილების მმართველი.

9. გრიგოლ მარტინის ძე **სილდირიანი** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი.

10. გრიგოლ გიორგის ძე **სულაბერიძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს განყოფილების უფროსი.

11. ვლადიმერ ევტროპის ძე **ცქიტიშვილი** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსი.

12. ვახტანგ ლუკას ძე **ციკორიძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსი.

13. ნატალია ივანეს ასული **ცინცაძე** სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი.

14. ნიკოლოზ პლატონის ძე **ჩხაიძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მთავარი რევიზორი.

15. ნიკოლოზ ზაქარიას ძე **შავაძე** — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 **წლის 29 ოქტომბერი.**

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 ამხ. ვ. ფ. შარიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების სამმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართველოს უფროსი ამხ. ვლადიმერ ფილიპეს ძე **შარიქაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 29 ოქტომბერი.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფეძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებით და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 580 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		31
ქ. გორიდან		3
ქ. ზუგდიდიდან		6
ქ. ტყიბულიდან		8
ქ. ჭიათურიდან		24
ადიგენის	რაიონიდან	4
ახმეტის	„	14
ასპინძის	„	4
ბოგდანოვკის	„	12
გეგეჭკორის	„	22
გორის	„	20
გურჯაანის	„	1
დმანისის	„	230
ზუგდიდის	„	14
თეთრიწყაროს	„	16
თელავის	„	3
თერჯოლის	„	18
ლაგოდეხის	„	33
მაიაკოვსკის	„	6
მცხეთის	„	5
სამტრედიის	„	9
ქარელის	„	19
ყვარლის	„	21
ჩხოროწყუს	„	11
წითელწყაროს	„	6
წყალტუბოს	„	7
წალენჯიხის	„	13
ხობის	„	7
სამხრეთ ოსეთის ა/ო		**13**